

პროფ. პლ. შუშანიძე
მეცნიერების დამსახ. მოღვაწე

ქალის სწავლება

ს ა ძ შ ე ზ ზ ა ვ ი
თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 4 9

თვიური (მენტრუაცია) და მისი მოზლილოგანი

ნორმალური თვიური ჩვენში ასალგაზრდა გოგონას ეწყება სქესობრივი მომწიფებისას, 13—14 წლის ასაკში.

მართალია მას თვიური 13—14 წლის ასაკში ეწყება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი ორგანიზმი მზად არის ორსულობისა და მშობიარობისათვის.

სრულ სქესობრივ მომწიფებას ქალი 18—20 წლის ასაკში აღწევს.

თვიური ეწოდება სისხლის დენას საშვილოსნოდან ყოველ 4 კვირაში (იშვიათად 3 კვირაში) ერთხელ, რაც გრძელდება 3—4 დღეს, იშვიათად 2 დღეს, გამონაკლის შემთხვევაში 6 დღეს.

ჩვეულებრივად, თვიურის დროს ქალს ტკივილები არა აქვს; დაკარგული სისხლის რაოდენობაც არ არის ქარბი.

თუ თვიურის დროს ქალს აწუხებს ტკივილები ან ქარბი სისხლის დენა, საჭიროა მიმართოს ქალთა კონსულტაციას.

პირველი თვიურიდან დაწყებული 45 წლამდე, ქალს იგი ყოველთვიურად აქვს, შემდეგ კი ის წყდება.

ქალს მენტრუაცია არ აქვს ორსულობის დროს, უხშირესად არ აქვს ძუძუთი წოვების დროსაც.

ახალგაზრდა, შეუჩვეველ გოგონას პირველი თვიური ეხამუშება, ეს მოვლენა მისთვის უცხოა, ამიტომ დედამ უნდა აუხსნას შეილს, რომ მენტრუაცია ჩვეულებრივი მოვლენაა და მას რაიმე უსიამოვნება, ან დაავადება არ მოსდევს.

საერთოდ, ქალის სასქესო ორგანოები განსაკუთრებულ სისუფთავეს მოითხოვს, რის გამო საჭიროა თბილი წყლით და საპნით გარეთა სასქესო ორგანოების ხშირი ჩამობანვა.

თვიურის დროს კი, გარეთა სასქესო ორგანოები თბილი წყლით და საპნით დღეში ორჯერ უნდა დაიბანოს.

საშოს გამორეცხვა საჭირო არ არის, არც თვიურის დროს და არც თვიურის გარეშე. ოუ დაავადებას არ აქვს ადგილი.

საშოს გამორეცხვა გადმოდულებულ ი თბილი წყლით, ან წყალში გახსნილი წაშლით. დასაშვებია მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

თვიურის დროს გარეთა სასქესო ორგანოებზე მიღებული უნდა იქნეს ჰიგროსკოპიული ბამბა ან გარეცხილი, გამობარშული და გაუთოებული თეთრი ქსოვილი, რომელიც დღეში რამდენიმეჯერ უნდა გამოიცვალოს, სისხლით გაყენებისა გამო.

თვიურის დროს სქესობრივი ცხოვრება დაუშვებელია.

ახალშობილთა „თვიური“. ახალშობილს შესაძლოა მე-2—7 დღეს სასქესო ორგანოებიდან ექნეს წვეთებით სისხლის დენა, რომელიც ერთი-ორი დღე გრძელდება.

ეს მენსტრუაცია (თვიური) არ არის, არც რაიმე დაავადების ნიშანია, არავითარ მკურნალობას არ მოითხოვს და თავისთავად გაივლის.

ნაადრევი სქესობრივი მომწიფება და თვიური. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მენსტრუაცია ჩვენში გოგონებს 13—14 წლის ასაკში ეწყებათ, მაგრამ ზოგჯერ ის უფრო ადრეც შეიძლება განვითარდეს, ასე მაგალითად, 10—11 წლის ასაკში.

მაგრამ უიშვიათეს შემთხვევაში ნაადრევი სქესობრივი მომწიფება კიდევ უფრო ადრე ხდება: 8 წლის, 6 წლის, 3 წლის, წინახვერის ასაკშიც კი. ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვენახა ნაადრევი სქესობრივი მომწიფება და თვიურის დაწყება 5 თვის ასაკიდან.

ნაადრევი სქესობრივი მომწიფება და თვიური არ არის ნორმალური; მისი მიზეზი მრავალფეროვანია; საჭიროა ამ მიზეზის გამორკვევა და სათანადო მკურნალობაც; ამიტომ ასეთი შემთხვევების დროს აუცილებლად საჭიროა ექიმის ჩიქეა-დარიგება.

მოგვიანებითი თვიური. თვიური ზოგჯერ მოგვიანებით დაიწყება, ასე მაგალითად, 17—18 წლის ასაკში. ხშირად ეს მდგომარეობა მკურნალობას არ მოითხოვს, მაგრამ თუ ასეთ ქალს თვიურის დროს დასჩემდა ტკივილები და გათხოვების შემდეგ უშვილობა, მაშინ საჭიროა სათანადო მკურნალობა.

ორსულთა „თვიური“. ზოგჯერ ორსულობის დროს ქალს აქვს ხანგამოშვებით სისხლის დენა სასქესო ორგანოებიდან. ეს თვიური არ არის, ორსულობის დროს თვიური შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ექიმის დაუყოვნებ-

პივი რჩევა-დარიგება და ზოგ შემთხვევაში სასწრაფო დახმარებაც.

ასეთი სისხლის დენა ან ორსულობის მიწლის დასაწყისს ნიშნავს, ან ეგრეთ წოდებულ მოწყობის წინამდებარეობას, რომელსაც შეიძლება მეტად სახიფათო სისხლის დენა მოჰყვეს. თუ დაუყოვნებლივ არ ჩავერიეთ და დახმარება არ აღმოუჩინეთ.

მოხუცებულთა „თვიური“. ქალს, როგორც აღენიშნეთ, თვიური დაახლოებით 45 წლის ასაკში შეუწყდება. იშვიათად მან შეიძლება 50—55 წლამდე გასტანოს.

ზოგჯერ მოხუცებულ ქალს სასქესო ორგანოებიდან სისხლის დენა ეწყება, რომელსაც ზოგი მოხუცებულთა „თვიურს“ უწოდებს; ეს თვიური არ არის. ხშირად, ეს მეტად სახიფათო დაავადების ნიშანია; ამიტომ ქალმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმ-გინეკოლოგს ქალთა კონსულტაციაში იმისათვის, რომ ზუსტად გამოიკვევს სისხლის დენის მიზეზი და დროულად იქნეს მიღებული ზომები.

ხშირი თვიური. ზოგჯერ ქალი უჩივის ხშირ თვიურს, ე. ი. თვიური მოსდის 4 კვირაში ერთხელ კი არა, არამედ თვეში ორჯერ, ყოველ ოც დღეში. ან ორ კვირაში ერთხელ.

ასეთი გახშირებული თვიურის დროს სისხლის დენა უხშირესად ქარბია, თანაც ხანგრძლივი; ჩვეულებრივი 3—4 დღის ნაცვლად, თვიური გრძელდება 6—8 დღე და მეტი.

ხშირი, ხანგრძლივი და ქარბი თვიური, ასუსტებს ადამიანს და შრომის უნარს უქვეითებს.

ხშირად ასეთ თვიურს თან ერთვის ტკივილები, უშვილობა და სხე.

ხშირი და ქარბი თვიურის მიზეზი უხშირესად შინაგანი სასქესო ორგანოების ანთება, ან სიმსივნეებია; ზოგჯერ კი საშვილოსნოს და საშოს კედლების დაწევა, გამოვარდნა და სხე.

ხშირი და ქარბი თვიური უხშირესად სასქესო ორგანოების დაავადების ნიშანია, ამიტომ ეს მოვლენა მიზეზის დაზუსტებას და მკურნალობას მოითხოვს.

ერთი რამ უნდა დავსძინოთ: თუ ქალს თავიდანვე სამკვი-

რეული თვიური აქვს, ეს არ არის დაავადება და მკურნალობას არ მოითხოვს.

იშვიათი თვიური. ამ დროს ქალს თვიური აქვს არა ყოველ ოთხ კვირაში, არამედ—ხუთ კვირაში, ექვს კვირაში ერთ-ხელ.

იშვიათი თვიურის დროს, უხშირესად, სისხლის დენა მცირეა; ქალები თვიურის დროს უჩივიან ტკივილებს, რომელსაც ზოგჯერ თან ერთვის გულის რევა და პირისღებინება.

არის შემთხვევები, როდესაც ტკივილები მეტად მძლავრია და ქალი იძულებულია ლოჯინში ჩაწვეს.

იშვიათი თვიურის დროს ხშირია უშვილობა.

იშვიათი თვიურის მიზეზი უნდა ვეძიოთ საკვერცხეების დაქვეითებულ ფუნქციაში, საშვილოსნოს კუნთების განუვითარებლობაში და სხვ.

იშვიათი თვიური ტკივილებით, უშვილობით და სხვა უსიამოვნო მოვლენებით შეიძლება სავსებით მოესპოთ, თუ სათანადო მკურნალობას ჩავატარებთ.

მეტრორაგიული სისხლის დენა. ზოგჯერ, სისხლის დენას ადგილი აქვს თვიურის გარეშე—თვიურსა და თვიურს შორის; ამას მეტრორაგიულ სისხლის დენას ვუწოდებთ. ასეთი სისხლის დენა უხშირესად მცირეა, იშვიათად კი ქარბი და სისხლი შიღვლებული, კოლტებად მოდის.

მეტრორაგიულ სისხლის დენას არ აქვს პერიოდულობა, ის უწყსრიგოდ მოდის.

მეტრორაგიული სისხლის დენის მიზეზი მრავალფეროვანია: სიმსივნეები (ეგრეთ წოდებული კეთილთვისებიანი სიმსივნე—საშვილოსნოს ფიბრომიომა, ავთვისებიანი სიმსივნე—კიბო) სასქესო ორგანოების, განსაკუთრებით საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ანთება და სხვ.

ამიტომ საჭიროა მიზეზის დროული გამოკვლევა და მკურნალობა, რადგან მეტრორაგიული სისხლის დენა შეიძლება ძალზე სახიფათო იქნეს.

თვიურის არ არსებობა—ამენორეა. თვიურის არ არსებობას ამენორეა ეწოდება.

როგორც ვიცით, ჩვეულებრივად, თვიური ქალს არ აქვს. სქესობრივ მომწიფებამდე, მონუტებულობის, ორსულობის და ხშირად ძუძუს წოვების დროს.

თუ ქალს საშვილოსნოს, ან საკვერცხეებს ამოკვეთათ, თვიური აღარ განვითარდება.

თუ საკვერცხეებზე რენტგენის სხივების დიდი დოზებით ვიმოქმედებთ, თვიური შეწყდება, რადგან რენტგენის სხივები ანადგურებს საკვერცხეების ქსოვილს.

თუ მოწიფულ ქალს ორსულობის გარეშე უთვიურობა— ამენორეა განვითარდა, მაშინ ორგანიზმის დაავადებაზე უნდა ვიფიქროთ.

ამენორეის (უთვიურობის) მიზეზი შეიძლება იქნეს, როგორც თვით სასქესო ორგანოებში, აგრეთვე სასქესო ორგანოების გარეშეც.

თუ ქალი ავად გახდა რაიმე მძიმე ინფექციური სენით, მაგალითად, ტუბერკულოზის მძიმე ფორმით, ან მუცლის ტიფით, მაშინ შეიძლება მას ამენორეა დასჩემდეს; მაგრამ როდესაც ის აღნიშნული დაავადებიდან განიკურნება, თვიურიც დაუბრუნდება.

ზოგჯერ ამენორეის მიზეზი უშუალოდ სასქესო ორგანოების, საკვერცხეების ან საშვილოსნოს ინფექციური დაავადებაა.

არის ამენორეის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არც სასქესო ორგანოების და არც ზოგად ინფექციას ადგილი არ აქვს. ამ შემთხვევაში მიზეზი უშუალოდ საკვერცხეები და საშვილოსნოა.*

მოწიფულობის ასაკში, ორსულობის და ძუძუსწოვების გარეშე განვითარებული ამენორეა დაავადების ნიშანია, საჭიროა მიზეზის გამორკვევა და მკურნალობა.

კ ლ ი მ ა ჭ ტ ე რ ი უ მ ი

კლიმაქტერიუმში ეწოდება ქალის ცხოვრების იმ პერიოდს, რომელიც გარდამავალია მოწიფულობიდან მოხუცებულობაში.

კლიმაქტერიუმში საშუალოდ 45 წლიდან იწყება და რამდენიმე წელი გრძელდება.

კლიმაქტერიუმს წინ უძღვის კლიმაქტერიუმის წინა ხანა, ეგრეთ წოდებული პრეკლიმაქტერიუმი, რომელიც უხშირესად 40 წლიდან 45 წლამდე გრძელდება.

პრეკლიმაქტერიუმისათვის დამახასიათებელია თვიურის არევა. ქალს ზოგჯერ თვიური დაუგვიანებს, ზოგჯერ ადრე მოუვა. ზოგჯერ კი რამდენიმე თვეს სრულებით არ აქვს.

არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე თვის ამენორეის

შემდეგ სისხლის დენა ვითარდება და კვირების და თვეების განმავლობაში გრძელდება.

კლიმაქტერიუმის დროს ქალს შეიძლება განუვითარდეს შემდეგი მოვლენები: სახეზე წამოხურება, წამოწითლება, ოფლიანობა, გულის ფრიალი, ნერვულობა და სხვ. დღის განმავლობაში ასეთი მოვლენები შეიძლება ქალს რამდენიმეჯერ ექნეს, ზოგჯერ ის ძალზე შემაწუხებელია. მაგრამ ეს მოვლენები სავალდებულო არ არის.

რადგან 40-45 წლამდე თვიურის ყოველგვარი მოშლილობანი შეიძლება შეგვხდეს. ამიტომ საკურობა ამ ხანში ქალი ხშირად გამოცხადდეს ქალთა კონსულტაციაში, რომ რაიმე სერიოზული დაავადება და მათ შორის საშვილოსნოს კიბოს დასაწყისი ფორმები დროზე შევამჩნიოთ და ქალი განვკურნოთ.

თუ კლიმაქტერიუმის დროს განუვითარდა გამოვარდნის მოვლენები, საკურობა ქალთა კონსულტაციის ექიმ-გინეკოლოგის რჩევა დარჩება. სათანადო მკურნალობით ეს მოვლენები სავსებით გაივლის.

საშვილოსნოს და საშოს მდებარეობის შეცვლა

საშვილოსნო მცირე მენჯის ღრუშია მოთავსებული. მას მცირე მენჯის შუა ადგილი უკუირავს.

ოღენობით საშვილოსნო არ არის დიდი ორგანო, საშუალო მსხლის ოღენობამდე აღწევს და მისივე მოყვანილობა აქვს თავდაღმა დაყენებული.

არანაშრობიარები საშვილოსნო დაახლოებით 50 გრამს იწონის, ახლად ნაშრობიარები კი 1000 გრამს. მაგრამ მოშრობიარობის შემდეგ, ლოგინობის ხანაში, საშვილოსნო თანდათან მცირდება მოცულობაში და თითქმის მის პირველად სიდიდეს უბრუნდება.

საშვილოსნოს აქეთ-იქით კვერცხსავალებია მოთავსებული, ის მიღები, რომლებიც საკვერცხიდან გამოსულმა კვერცხუჯრედმა უნდა გაიაროს, რომ საშვილოსნოს ღრუში მოხვდეს.

კვერცხსავალების ქვევით, ორთავ მხარეზე მოთავსებულია საკვერცხეები.

საკვერცხეებში იზრდებიან და ვითარდებიან კვერცხუჯრედები. საშვილოსნოს აქვს ტანი და ყელი.

საშვილოსნოს ყელის ვაგრძელებას ქვევით საშო შეადგენს.

საშო წარმოადგენს კუნთოვან და შემაერთებელ ქსოვილთა მილს.

საშვილოსნო და საშო ეკუთვნის შიგნითა სასქესო ორგანოებს.

გარეთა სასქოესო ორგანოები შედგება: დიდი და მცირე სასქესო ბაგეებისაგან, საენებოსაგან, შარდსადინარის გარეთა პირისაგან და სხვ.

საშვილოსნო მეტად მოძრავი ორგანოა, მოძრაობა მას ესაქიროება იმისათვის, რომ თვიურის დროს გამოაძეგოს მასში დაგროვილი სისხლი.

საშვილოსნოს მოძრაობა კიდევ უფრო ესაქიროება ორსულობის დროს, რადგან ნაყოფის ზრდასთან დაკავშირებით ის უნდა თანდათან ზევით აიწიოს.

საშვილოსნო, როგორც ვთქვით, მოძრავი ორგანოა, მაგრამ ნორმალურ პირობებში ის ქვევით არ ჩამოიწევს, მისი ყელი საშოში არ ჩაეჩრება და გარეთა სასქესო ნაპრალში არ გამოჩნდება.

თუ საშვილოსნოს ყელი გარეთა სასქესო ორგანოების ნაპრალიდან გამოჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საშვილოსნო დაძრულია თავის ნორმალურ მდგომარეობიდან, ის ქვევით არის დაწეული და ზოგჯერ გამოვარდნილიც.

საშოს კედლებიც შეიძლება დაიწიოს და გარეთ იქნეს გამობირთული.

საშოს კედლების დაწევას და გამობირთვას ყოველთვის თან არ ახლავს საშვილოსნოს დაწევა და გამოვარდნა.

საშვილოსნოს დაწევას და გამოვარდნას კი ყოველთვის თან ახლავს საშოს კედლების დაწევა და გამოვარდნაც.

ვარჩევთ საშვილოსნოს და საშოს სრულ და ნაწილობრივ გამოვარდნას.

საშვილოსნოს სრული გამოვარდნის დროს გარეთა სასქესო ორგანოების წინ მოთავსებულია ქსოვილთა მრგვალი ბურთი—საშოს კედლები. რომელშიც მოთავსებულია ქვევით ჩამოწეული და გამოვარდნილი საშვილოსნო.

განსაკუთრებით კარგად მოჩანს ეს სიარულის დროს. ბარძაყებს შორის ჩამოკიდებულია სიმსივნისმაგვარი ქსოვილთა ბურთი, რომელსაც ვიწრო ხერელი აქვს; ეს საშვილოსნოს ყელის არხია.

თუ გამოვარდნა სრული არ არის, მაშინ სასქესო ნაპრალი-დან გამობირთვული საშოს კედლები და საშვილოსნოს ყელი მო-ჩანს.

ქვევით დაწვეულ საშოს და საშვილოსნოს გამოვარდნას ზოგ-ჯერ თან ახლავს მთელი რიგი მოშლილობანი: ქარბი და ხშირი თვიური, შარდის შეუკავებლობა, წელის ტკივილი და მრავალი სხვ.

შიგნითა სასქესო ორგანოების დაწვეას და გამოვარდნას ხელს უწყობს არაწესიერად ჩატარებული ლოგინობის ხანა, მომ-შობიარების შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმოძრა-ოდ ლოგინში წოლა.

მომშობიარების შემდეგ ლოგინში მოძრაობა, თუ ოპერაცია არ იყო ნაწარმოები, კარგია, რადგან მოძრაობა ხელს უწყობს საშვილოსნოს უკუგანვითარებას და მისი ნორმალური ოდენობის აღდგენას.

კარგია მშობიარობის შემდეგ მე-4—5 დღეს აღდგომა, თუ, ვიმეორებთ, რაიმე გართულებას არ ვქონდა აღდგოლი.

მშობიარობის შემდეგ ქალმა მიზანშეწონილად უნდა გამოი-ყენოს სადეკრეტო შევებულება, რომ მოხდეს სასქესო ორგანოების ნორმალური აღდგენა.

თუ მშობიარობის დროს დაზიანდა სასქესო გზები, საჭიროა მათი აღდგენა ქირურგიული წესით, რომ საშვილოსნო და საშოს დაწვევა-გამოვარდნა არ განვითარდეს.

დაწვეული და გამოვარდნილი საშოს და საშვილოსნოს ნორ-მალური მდებარეობის აღდგენისათვის საჭიროა ოპერაციის გაკე-თება. ეს ოპერაცია არ არის რთული.

მშობიარობის დროს შეიძლება დიდი ნაყოფისაგან, ნაყოფის უწესო მდებარეობისაგან, ან ექიმის მიერ მშობიარობის დროს ჩა-ტარებული საჭირო მოქმედებისაგან, შორისი დაზიანდეს, ჩაიხეხს.

ჩახეული შორისი დაუყოვნებლივ უნდა გავეკროთ, მაგრამ ზოგჯერ შესაძლოა კარგი შეხორცება არ მოხდეს და შორისი ჩა-ხეული დარჩეს. მაშინ საჭიროა უფრო მოგვიანებით ხელახლა გა-კერვა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ამ დაზიანებას მოჰყვეს საშოს და საშვილოსნოს ქვევით დაწვევა და გამოვარდნა.

ჰალის გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოების ანთეპიოთი დაავადებანი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გარეთა სასქესო ორგანოებს ექუთნიან: დიდი და მცირე სასქესო ბაგეები, ისინი კანის ნაოქს წარმოადგენენ.

დიდი სასქესო ბაგეების გარეთა ზედაპირი თმით არის დაფარული, მისი შიგნითა ზედაპირი კი თმისაგან თავისუფალია.

მცირე სასქესო ბაგეები დიდი სასქესო ბაგეების შიგნითაა მოთავსებული და თმისაგან თავისუფალია.

სასქესო ბაგეების ზევით, მათ დასაწყისში, მოთავსებულია საგნებო, საგნებოს ქვევით კი—შარდსადინარის გარეთა პირი.

შარდსადინარის ქვევით მოთავსებულია საშოს შესავალი, რომელსაც ფარავს საქალწულო აპკი.

საქალწულო აპკის მოყვანილობა სხვადასხვანაირია: ბექდისებრი, ნახევარმთვარისებრი, დახვრეტილი, ფანჯროვანი, დაკბილული და სხვ.

არის საქალწულო აპკის ერთი იშვიათი ფორმაც—მთლიანი. უხვრელო საქალწულო აპკი; ასეთი აპკი საშოს შესავალს მთლიანად ხურავს და თვიურის სისხლი გარეთ ვერ გამოდის.

იმ გოგონებს, რომლებსაც მთლიანი საქალწულო აპკი აქვთ, თვიურის დაწყებისას აწუხებთ ძლიერი ტკივილები, სისხლი კი გარეთ ვერ გამოდის და საშოში გროვდება.

თუ ექიმს დროულად არ მიემართეთ, შემდეგი თვიურის დროს ტკივილები განახლდება, თვიურის სისხლი კი უფრო მეტი რაოდენობით დაგროვდება საშოში, იქ ველარ დაეიტევა და საშვილოსნოს ღრუში გადავა; ეს სახიფათოა, ამიტომ 13—14 წლის ასაკის გოგონას თუ თვიური არ მოდის, მაგრამ თვეში ერთხელ დიდი ტკივილები აწუხებს, განსაკუთრებით მუცლის ქვედა-ნაწილში, თუ ტკივილები რამოდენიმე დღე გრძელდება, საჭიროა დაუყოვნებლივ მივმართოთ ქალთა კონსულტაციის ექიმ-გინეკოლოგს.

მთლიანი საქალწულო აპკი უნდა გაიკვეთოს. გაკვეთისას საშოდან გამოვა სქელი შედედებული სისხლი და შემდეგი თვიური ნორმალურად ჩატარდება, ეს ოპერაცია მეტად მარტივია.

საქალწულო აპკის ფორმა, ჩვეულებრივ, ირდყევა ქოველი სქესობრივი კავშირის დროს, რომელსაც თან სდევს მცირეოდენი სისხლის დენა.

არ არის მართალი, თითქოს პირველი სქესობრივი კავშირის დროს სისხლის დენა აუცილებელია.

თუ საქალწულო აპკს ბექდისებრივი, ნახევარმთვარისებრივი და დაკბილული ფორმა აქვს, მაშინ შეიძლება სქესობრივი კავშირის დროს არაერთგვაროვანი სისხლის დენა არ მოხდეს.

ვაგინიზმი. უნდა აღვნიშნოთ რომ არსებობს ერთი დაავადება, რომლის დროს საქალწულო აპკი დაურღვეველი რჩება, რადგან ნორმალური სქესობრივი კავშირი შეუძლებელი ხდება.

ამ დაავადების დროს, რომელსაც ვაგინიზმს ვუწოდებთ, ქალს აქვს შიში, რომ სქესობრივი კავშირი გამოიწვევს უსასტიკეს ტკივილებს და ნორმალური სქესობრივი კავშირი, ქალის მხრივ დიდი წინააღმდეგობის გამო, შეუძლებელი ხდება.

ვაგინიზმის მიზეზი ორგვარია. ერთის მხრივ, შესაძლოა საშოს შესაველში ადგილი ჰქონდეს ანთებას და სქესობრივი კავშირი იწვევდეს ძალზე დიდ ტკივილებს.

მეორეს მხრივ ვაგინიზმის მიზეზი ფსიქიკურია. თუ ტკივილები ანთებითაა გამოწვეული, უნდა ვუმკურნალოთ, ქსოვილის ნორმალური მდგომარეობა აღუადგინოთ და ყველაფერი მოწესრიგდება.

ფსიქიკური ფორმის დროს საჭიროა მხოლოდ დაჯერება, რომ სქესობრივი კავშირი არაერთგვაროვანი ტკივილებს არ იწვევს.

ორივე სახის მკურნალობას ექიმი-გინეკოლოგი ატარებს.

ვულვის დაავადებანი. ვულვას ვუწოდებთ გარეთა სასქესო ორგანოებს. გარეთა სასქესო ორგანოებზე მრავალი დაავადება გვხვდება ანთების და სინსივინების სახით.

ვულვის მწვავე ანთება. ამ დაავადების დროს გარეთა სასქესო ორგანოები შეშუპებულია, მტკივნეულია, ალაგ-ალაგ შეიძლება ჩირქიანი ნაღებებიც იქნეს.

ავადმყოფს ეს აწუხებს განსაკუთრებით სიარულის დროს თეთრეულის ხახუნის გამო.

ვულვის ანთების მიზეზები მრავალია: საშოდან გაძლიერებული მონადენი, თეთრად შლა, ვულვის დაზიანება დაცემით, დარტყმით, შარდის შეუკავებლობის დროს შარდით ვულვის გაღიზიანება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შარდში შაქარია, ე. ი.

როდესაც ქალი ეგრეთ წოდებული 'მაქრის ავადმყოფობით' არის დაავადებული.

არასაკმაო სისუფთავეც ხელს უწყობს ამ დაავადების განვითარებას, განსაკუთრებით თუ ქალი ზედმეტად არის გასუქებული და ვულვა ძალზე ოფლიანდება და ქუჩყიანდება.

ქალს ევალება დაიცვას სისუფთავე, დღეში ერთხელ მაინც დაიბანოს გარეთა სასქესო ორგანოები თბილი წყლით და საპნით.

ვულვის ქრონიკული ანთება, ვულვის ქავილი-ვულვის მწვავე ანთება სათანადო მკურნალობით მალე გაივლის. მაგრამ არსებობს ვულვის ეგრეთ წოდებული ქრონიკული ანთება, რომელსაც ახასიათებს მძლავრი ქავილი.

ქავილის შეგრძნობა ზოგჯერ ისეთი მოუთმენელია, რომ ავადმყოფი იძულებულია განმარტოვდეს, რომ გარეთა სასქესო ორგანოები დაიფხანოს და ეს გრძნობა დაიკმაყოფილოს.

ქავილი ღამით ზოგჯერ განუწყვეტელია, ავადმყოფს მოსვენება არ აქვს, უძილობა და ზოგჯერ უმადობაც დასჩემდება.

ხშირი ქავილისაგან ვულვა ალაგ-ალაგ დაკაწრულია, ჰკარგავს ნორმალურ ვარდისფერს, მოთეთრო, უხეში და მკვრივი ხდება.

ვულვის ქრონიკული ანთება არის ვულვის მწვავე ანთების ცუდად მკურნალობის შედეგი.

იმისათვის, რომ ვულვის ქრონიკული ანთება არ განვითარდეს, უნდა მოვსპოთ თეთრად შლა და საშოდან გაძლიერებულ მონადენი.

უნდა ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე წვრილ ჭიებსაც, რომლებიც ნაწლავებში ბუდობენ, მათაც შეუძლიათ ვულვის გაღიზიანების და ანთების გამოწვევა.

ვულვის ქრონიკული ანთებისაგან, თუ მას თავის დროზე არ ვუმკურნალებთ, შეიძლება განვითარდეს ეგრეთ წოდებული ვულვის ლეიკოპლაკია და ვულვის კრატროზი.

ამ დაავადებათა დროს, ვულვის შეხედულება კიდევ უფრო მეტად არის შეცვლილი: კანი მშრალია, შესქელებულია, შემდეგ კი ვულვა დაპატარავდება, შეიკუმხნება, თმინობა მოიკლებს, ქავილი გრძელდება.

ეულვის ქრონიკული ანთება, ლეიკოპლაკია და კრაუროზი, ხელს უწყობს გარეთა სასქესო ორგანოებზე ავთვისებიანი სიმსივნეების, მათ შორის კიბოს გაჩენას.

ამიტომ, ეულვის ყველა ზემოჩამოთვლილი დაავადებანი დროულად უნდა იქნეს ნამკურნალები. ისინი რომ არ განვითარდნენ, საჭიროა ეულვის სისუფთავე.

ეულვის ელექტანტიაზი. ეულვის ელექტანტიაზის დროს ეულვის ქსოვილი სიმსივნისმაგვარად იზრდება, ზოგჯერ მისი წონა 2—8 კილოგრამამდე აღწევს, მაგრამ ის არ არის ნამდვილი სიმსივნე.

ეულვის ელექტანტიაზის მკურნალობა ოპერაციულია. შედეგი კარგია, მხოლოდ თუ ექიმს დროზე არ მივმართეთ, შეიძლება ის დაიშალოს, დაწყულულდეს და მდგომარეობა გართულდეს.

ეულვის დიფთერია. ისე როგორც ხახაში და ცხვირის ღრუში, დიფთერია ეულვაზედაც შეიძლება განვითარდეს. ეულვის დიფთერია უხშირესად ხახის დიფთერიასთან ერთად ვითარდება.

შესაძლოა, ხახიდან დიფთერია ეულვაზე და საშოშიაც გადავიტანოთ.

ამ გართულების თავიდან აცდენისთვის საჭიროა ხელების სისუფთავის დაცვა, აგრეთვე ის საგნები, რომლებიც დასვრილია, ეულვას არ უნდა მივაკაროთ.

წვეტიანი კონდილომები. ეულვაზე და საშოშიაც შესაძლოა განვითარდეს ეგრეთ წოდებული წვეტიანი კონდილომები.

თუ წვეტიანი კონდილომები ცოტაა, მაშინ ისინი ნემსის წვერისმაგვარად აქა-იქ არიან ეულვაზე წამოზრდილი.

თუ წვეტიან კონდილომებს არ ვუმკურნალებთ, მაშინ ისინი სწრაფად იზრდებიან, განსაკუთრებით ორსულობის დროს და აყვავებული კომბოსტოსმაგვარად მოედებიან მთელ ეულვას.

წვეტიანი კონდილომები იძლევიან მყარალ სუნს, მონადენს და კანის გაღიზიანებას. ზოგჯერ შეიძლება იმდენად გაიზარდონ, რომ ხელი შეუშალონ სქესობრივ კავშირს და მშობიარობას.

თუ ეულვაზე გაჩნდა ასეთი მექეჟოვანი წარმონაქმები, რაგინდ მცირეც არ იქნენ, უნდა ექიმს მივმართოთ, რომ დროულად მოვსპოთ ეს დაავადება.

საკმარისი არ არის წვეტიანი კონდილომების მოშორება, საჭიროა მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზის მოსპობა. ძირითადი მიზეზი კი საშოდან გაძლიერებული მონადენია. ამიტომ საშოდან გამონადენიც უნდა მოესპოთ.

წვეტიანი კონდილომების განვითარების მიზეზი ყოველთვის გონორეა (სუსუნატი) არ არის, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. წვეტიანი კონდილომების მკურნალობა ექიმის საქმეა.

ვულვის რბილი შანკრი. რბილი შანკრი წარმოადგენს ვენერულ სენს. ამ ავადმყოფობით დაავადება დიდ უმრავლეს შემთხვევაში სქესობრივი კავშირის შედეგია.

წყლულის სიდიდე, მცირედან—აბაზიანის ოდენობამდე აღწევს. პირველად ის უზშირესად სასქესო ბაგეების უკანა ლაგამზე განვითარდება, აქედან კი გადადის მთელ ვულვაზე.

წყლულის კიდეები დაკბილულია, ფსკერი უსწორმასწოროა და დაფარულია მოყვითალო ფერის ჩირქით. წყლულები მტკივნეულია.

ავადმყოფობა გრძელდება 2—8 კვირამდე. ჩვენში ეს ავადმყოფობა იშვიათია. ის თითქმის მოიხსნა როგორც კაპიტალისტური წესწყობილების ნაშთი, ფართოდ გაშლილი პროფილაქტიკის და მკურნალობის შედეგად.

ვულვის სიმსივნეები. ვულვაზე შეიძლება განვითარდეს კეთილ და ავთვისებიანი სიმსივნეები, მათ შორის აღსანიშნავია ვულვის კეთილთვისებიანი სიმსივნე—ფიბრომა, კისტომა და ავთვისებიანი—კიბო.

ვულვის ფიბრომის სიდიდე მუხუდოს მარცვლის ოდენობიდან რამდენიმე კილოგრამამდეა.

ზოგჯერ ასეთი სიმსივნე წვრილ ფეხზე არის ჩამოკიდებული. მკურნალობა ოპერაციულია, შედეგი კარგია.

ვულვის ფიბრომა ყოველ ასაკშია მოსალოდნელი, განსაკუთრებით 20—35 წლამდე.

ვულვის კიბო უზშირესად 55—70 წლამდე გვხვდება. უფრო ახალგაზრდა ასაკში ის იშვიათია.

კიბო შეიძლება განვითარდეს სასქესო ბაგეებზე, საენებოზე, უკანა ლაგამზე, იგი გვხვდება წყლულის, კვანძის, წამონაზარდის სახით და სხვ.

ვულვის კიბო უზშირესად პირველადია, იშვიათად კი ის აქ
გადმოდის კიბოთი დაზიანებულ მეზობელ ორგანოებიდან.

ვულვის კიბო ძალზე სახიფათო დაავადებაა, ის მალე
ვრცელდება და თუ დროულად არ მიემართეთ ექიმს, ქალი ადრე
დაიღუპება.

ვულვაზე ყოველივე წყლულის, ახალი წარ-
მოქმნის, სიმსივნის, ანთების და სხვ. გაჩენის
შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიემართოთ
ქალთა კონსულტაციას, ან პოლიკლინიკის ექიმს
იმისთვის, რომ ხიფათი თავიდან ავიცილოთ.

უნდა გვახსოვდეს, დროული მკურნალობით ყოველგვარი და-
ავადების განადგურება და ორგანიზმის გაჯანსაღება არის შე-
საძლო, დაგვიანებით მკურნალობა კი სასურველ შედეგს ყოველ-
თვის არ იძლევა.

ვულვის კისტებს შორის უნდა აღვნიშნოთ ბართოლინის
ჯირკვლის კისტა, რომელიც ვითარდება მცირე ბაგეების შიგნითა
ზედაპირიდან. იგი გამოიბირთვება და საშოს შესავალს ხურავს.
ავადმყოფს აწუხებს ტკივილები, სიმსივნე სიარულს უშლის.

ბართოლინის კისტა ხშირად გონორეის ნიადაგზე ვითარ-
დება.

ბართოლინის კისტის მკურნალობაც ოპერაციულია, მაგრამ
თუ ქალს გონორეა აქვს, მაშინ არ კმარა მარტო კისტის გაკვეთა
და ჩირქის გამოშვება, ქალი გონორეისაგანაც უნდა განიკურნოს.

საშოს და საშვილოსნოს ყელის ანთება

საშოს და საშვილოსნოს ყელის ანთების დროს ავადმყოფები
უჩივიან გაძლიერებულ თეთრად, ან ყვითლად შლას, ზოგჯერ ნამდ-
ვილ ჩირქიან გამონადენს.

გარეთა სასქესო ორგანოები გაწითლებული და მტკივნეუ-
ლია, განსაკუთრებით სიარულის დროს.

ამის გამო გარეთა სასქესო ორგანოებზე ზოგჯერ ეგრეთ
წოდებული ეგზემა ვითარდება და კანი სხვადასხვა ოდენობის
წყლულებით იფარება. სიცხე ამ დაავადების დროს არ მატულობს.

საშოს და საშვილოსნოს ყელის ახთების ხელშეწყობა პირობებად ითვლება: მშობიარობის დროს შორისის დაზიანება, საშოს და საშვილოსნოს დაწევა და გამოვარდნა, შარდის შეუკავებლობა, საშვილოსნოს ყელზე და საშოში არსებული სიმსივნეების დაშლა და სხვ.

ყველაფერი ეს აზიანებს საშოს კედლებს, რის გამოც გარეთა სასქესო ორგანოებიდან (ვულვიდან) საშოში შეიჭრება ბაქტერიები და ანთებას განავითარებენ.

ს ა შ ო ს ტ რ ი ქ ო მ ო ნ ა დ უ ლ ი ა ნ თ ე ბ ა. ზოგჯერ საშოს ანთებას იწვევს მარტივი პარაზიტები, რომელთაც ტრიქომონადები ეწოდებათ; ისინი გვხვდებიან ნაწლავში, საშოში და შარდის მილში.

ზოგჯერ საშოს ლორწოვან გარსს აღიზიანებენ და ანთებას იწვევენ ნაწლავის, ნემსის წვერის ოდენა წყრილი ქიმიები, რომელთა დანახვა შესაძლოა განავალში.

ა რ ს ე ბ ო ბ ს მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ თ ა ს ა შ ო ს ა ნ თ ე ბ ა ც. მოხუცებულობის დროს საკვერცხეების მოქმედება შეწყვეტილია და საერთოდ ყველა ორგანო შედარებით ნაკლებ გამძლეა, ამიტომ ეულვაზე არსებულ უამრავ, თვალით უხილავ ბაქტერიებს შეუძლიათ შეიჭრან საშოში და საშვილოსნოს ყელში, იქ მოიკიდონ ფეხი და ანთება განავითარონ.

ამას ხელს უწყობს გარეთა სასქესო ორგანოების უსუფთაობაც.

გ ა რ ე თ ა ს ა ს ქ ე ს ო ო რ გ ა ნ ო ე ბ ი მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ - დ ა ბ ა ნ ვ ა ს წ ყ ლ ი თ და საპნით, რადგან ისინი იოლად ისვრებიან შარდით და განავლით.

მოხუცებულთა საშოს ანთებას თან ახლავს საშოს კედლების შეწითლება, წინწყლოვანი სისხლჩაქცევები. ხშირად, საშოს ლორწოვანი და საშვილოსნოს ყელის ზედაპირი ხელის შეხებით სისხლმდინარეა.

იმისათვის, რომ საშოს ანთება არ განვითარდეს, საჭიროა გარეთა სასქესო ორგანოების სისუფთავე, დაზიანებული შორისის აღდგენა და დაწეული, გამოვარდნილი საშოს და საშვილოსნოსათვის ნორმალური მდებარეობის მიცემა.

ამიტომ უნდა პიყპართოთ ქალთა კონსულტაციას, ან პოლი-
კლინიკას:

ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო ს ყ ე ლ ის ზ ე დ ა პ ი რ ის წ ყ ლ უ-
ლი, ე რ ო ზ ი ო. საშვილოსნოს ყელის ზედაპირზე, ანუ რო-
გორც მას ვუწოდებთ, საშვილოსნოს საშოს ნაწილზე, ზოგჯერ
ვითარდება წყლული, ეგრეთ წოდებული ეროზია.

ეროზიო დიდ უმრავლეს შემთხვევაში კეთილთვისებიანი წარ-
მონაქმია და შედეგია საშვილოსნოს ყელის ანთების დროს გაძ-
ლიერებული გამონადენისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ე რ ო ზ ი ო,
ისე როგორც ყოველგვარი ხანგრძლივი, ქრონიკულად მიმდინარე
ანთება, ხ ე ლ შ ე მ წ ყ ო პ ი რ ო ბ ა ა ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო ს
ყ ე ლ ის კ ი ბ ო ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ის ა თ ვ ი ს.

ამიტომ, როდესაც ექიმ-გინეკოლოგმა დაადასტურა, რომ ქალს
ეროზია აქვს, საჭიროა სისტემატური მკურნალობა, ექიმის მეთ-
ვალყურეობა, ქალთა კონსულტაციაზე, ან პოლიკლინიკაზე მი-
მაგრება, რომ ეროზიო განიკურნოს, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ
კიბოს დასაწყისი ფორმა წააგავს საშვილოსნოს საშოს ნაწილის
ეროზიოს.

ს ა შ ო და მისი თვითგაწმენდის უნარი. ჩვენ
აღვნიშნეთ, რომ გარეთა სასქესო ორგანოებზე აუარებელი, თვა-
ლით უხილავი ბაქტერიები არსებობენ და თუ ისინი შესაფერ-
ნიადაგზე მოხვდნენ, მეტად სახიფათო და საშიში არიან.

ბაქტერიებისათვის ხელსაყრელი პირობა კი არის თვიური,
აბორტი (მუცლის მოშლა) და მშობიარობა.

ამ მოვლენების დროს გარეთა სასქესო ორგანოებიდან ბაქ-
ტერიებს იოლად შეუძლიათ შიგნითა სასქესო ორგანოებში შეიჭ-
რან, იქ მოიკიდონ ფეხი და მძიმე დაავადება განავითარონ.

ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა გარეთა სასქესო
ორგანოების განსაკუთრებული სისუფთავე, მაგრამ საინტერესოა,
რომ საშო, თუ ის დაავადებული არ არის, არ მოითხოვს ჩვენგან
გასუფთავებას, გამოწმენდას, გამოორეცხვას და სხვ.

რით აიხსნება ეს გარემოება? ეს აიხსნება მით, რომ საშოში
არიან ისეთი ბაქტერიები, რომლებიც იცავენ საშოს სისუფთავეს,
მის ნორმალურ, როგორც იტყვიან, ფიზიოლოგიურ მდგომარეობას.

თუ საშოში გარეთა სასქესო ორგანოებიდან, ან სქესობრივი კავშირის დროს, გარეშე ბაქტერიები შეიქრა, საშოს სიწმინდის დამცველი ბაქტერიები მათ გაანადგურებენ.

მაგრამ თუ გარედან შეჭრილი ბაქტერიები ბევრია და მძლავრი, მაშინ ისინი სძლევენ საშოს სიწმინდის დამცველ ბაქტერიებს, თვით მოიკიდებენ ფეხს და ავადმყოფობას გამოიწვევენ.

ამ გვარად, საშოს თვითგაწმენდის უნარი აქვს. ამიტომ საშოს გამოსუფთავება, გამორეცხვა, საჭირო არ არის, თუ იგი სალია.

თვიურის შემდეგაც არ შეიძლება საშოს გამორეცხვა, თუ ის ჯანმრთელია. პირიქით, გამორეცხვა მავნებელია, რადგან ვასუსტებთ საშოს დამცველ ბაქტერიებს.

ნორმალური, სალი საშო არასოდეს არ უნდა გამოირეცხოს, რადგან გამორეცხვამ შეიძლება საშოს კედლები დააავადოს.

საშვილოსნოს და მისი დანამატების ანთება. საშვილოსნოს ანთება უხშირესად ხდება ეგრეთ წოდებული აღმავალი ინფექციის საშუალებით, ე. ი. ბაქტერიები საშვილოსნოში შეიჭრებიან ქვევიდან, გარეთა სასქესო ორგანოებიდან, საშოდან და საშვილოსნოს ყელიდან.

საშვილოსნოში ბაქტერიების შეჭრის ხელშემწყობ პირობებია: თვიური, ორსულობის გაცუდება (აბორტი), მშობიარობა, გაცივება და სხვ.

გონორეით დაავადებული მამაკაცი სქესობრივი კავშირის დროს გადადებს ქალს ამ სენს.

პირველად გონორეა ქალს განუვითარდება ქვედა სასქესო გზებში, ე. ი. დაზიანდება შარდსადინარი, საშვილოსნოს ყელი და სხვ. აქედან კი, ზემოაღნიშნული ხელშემწყობ პირობების გამო, გონორეის გამომწვევი ბაქტერიები—გონოკოკები, ზევით ავლენ—საშვილოსნოს ღრუში და მის დანამატებშიაც გავრცელებიან.

საშვილოსნოს დანამატებს ჩვენ ვუწოდებთ კვერცხსავლებს და საკვერცხეებს. კვერცხსავლები არის მილები, რომლებიც აერთებენ

საკვერცხეებს და საშვილოსნოს, რომელთა საშუალებითაც კვერც-
ჯრედი საკვერცხიდან გადადის საშვილოსნოს ღრუში.

მაგრამ გონოკოკების გარდა, სხვა ბაქტერიებიც იწვევენ სა-
შვილოსნოს და მისი დანამატების ანთებას. ასეთია: სტრეპტო-
კოკები, სტაფილოკოკები და სხვ.

მიკროსკოპში სტრეპტოკოკები ძეწვეისმაგვარად არიან და-
ლაგებული, სტაფილოკოკები კი ყურძნის მტევანს და მის მარცვ-
ლებს მოგვაგონებენ.

გონოკოკებს ლობიოსმაგვარი მოყვანილობა აქვთ, ისინი
ლაგდებიან წყვილ-წყვილად, ჯგუფად.

თუ ქალს მხოლოდ ქვედა სასქესო გზების გონორეა აქვს,
მას სიცხე და ტკივილები არ აწუხებს, აქვს მხოლოდ ძლიერი
ჩირქიანი გამონადენი და ზოგჯერ დასაწყისში წვა შარდვის
დროს.

მაგრამ, როდესაც ეს სენი ზედა სასქესო ორგანოებში, სა-
შვილოსნოში, მის დანამატებზე გავრცელდება და შეიქრება მუც-
ლის ღრუში, მაშინ განვითარდება უსასტიკესი ტკივილები სიცხით.
მუცელი შეიბერება, ხელის შეხებით ძალზე მტკივნეული ხდება.
ქალს აწუხებს გულის რევა და პირღებინება. საშვილოსნო
ჰიპს ქვემოთ ხელის დაქერით მტკივნეულია, მტკივნეულია საზარ-
დულის მიდამოებიც, რადგან აქ არიან მოთავსებული საშვილოს-
ნოს დანამატები, კვერცხსავლები და საკვერცხეები.

ხშირად, დამთავრებულ თვიური ხელახლა განახლდება და
დაიწყება სისხლის დენა.

ასეთი მოვლენების გამოწვევა შეუძლია გონოკოკს, აგრეთვე
სტრეპტო და სტაფილოკოკსაც. ეს უკანასკნელები უფრო მეტად
არიან საშიში.

მშობიარობის შემდეგ განვითარებული საშვილოსნოს ანთე-
ბა. თუ ის მძიმე არ არის, 10—15 დღეში დამთავრდება. მაგრამ
თუ ანთება გაძლიერდა, მაშინ შეიძლება განვითარდეს მეტად სა-
ხიფათო მდგომარეობა—ეგრეთ წოდებული ლოგინობის ხანის ცხე-
ლება. როგორც იტყვიან, სისხლის მოწამვლა.

ჩვენს ქვეყანაში საექიმო დახმარების გაუმ-
ჯობესების შედეგად ლოგინობის ხანის ცხელება
იშვიათ მოვლენად გადაიქცა.

მეტის რუსეთში ამ დაავადებისაგან აუარებელი ახალგაზრდა ქალი იხოცებოდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მშობიარობის შემდგომი დაავადებანი დღესაც ხშირია, მისგან სიკვდილიანობა ამჟამადაც მალალ კიფრებს აღწევს. ასე მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისის ჯანმრთელობის ორგანოებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ მშობიარობისაგან მათ დღესაც ელუპებათ ათას მშობიარეზე 8 ქალი.

ჩვენში, მთელ რიგ სამშობიარო სახლებში, დედათა სიკვდილიანობა მინიმალურ რაოდენობამდე არის დაყვანილი, ათასზე არა უმეტეს 1, ზოგიერთ სამშობიარო სახლებში კი წლების განმავლობაში სიკვდილის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

საშეილოსნოს ღრუდან ბაქტერიებს შეუძლიათ შეიქრან კვერცხსაველებში და იქ განავითარონ ანთება.

კვერცხსაველებში შეიძლება დაგროვდეს ანთებადი სითხე. ზოგჯერ გამჟვრვალე, ზოგჯერ კი ჩირქიც.

ეს უკანასკნელი განავითარებს კვერცხსაველის ჩირქიან ანთებას, რაც მძიმე დაავადებაა და ხასიათდება ტკივილებით, მალალი სიცხით, უძილობით, უმადობით და სხვ.

ავადმყოფობა გრძელდება კვირეების და ზოგჯერ თვეების განმავლობაშიაც; თვიური არეულია, არაიშვიათად სისხლის დენას აქვს ადგილი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ საშვილოსნოს და მისი დანამატების ანთება და მათი გართულებანი, საჭიროა დროულად მოვსპოთ საშოდან გამონადენი და ქვედა სასქესო გზების ყოველგვარი ანთება.

სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი

ტუბერკულოზი სასქესო ორგანოებსაც აზიანებს. მაგრამ სასქესო ორგანოებში ტუბერკულოზი თითქმის არასოდეს არაა პირველადი—ის აქ მოტანილია სხვა დაავადებული ორგანოებიდან.

იმ ქალებში, რომელნიც მიმართავენ ექიმ-გინეკოლოგს, ზოგიერთი შეიძლება სასქესო ორგანოების ტუბერკულოზით იქნეს დაავადებული.

სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი ყველა ასაკში გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით ხშირია 20—30 წლის ასაკში.

ტუბერკულოზური პროცესი აზიანებს კვერცხსავლებს, საკვერცხეებს, საშვილოსნოს.

საშოს და გარეთა სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი იშვიათია.

სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი ხშირად, თითქმის შეუმჩნევლად ვითარდება, ხან მცირეოდენი სიცხით, ხან კი სიცხის მომატების გარეშეც. ზოგჯერ კი მისი დასაწყისი მწვავეა—ძლიერი ტკივილებით და ღიღი სიცხით.

თვიური ამ დაავადების დროს მოშლილია: ზოგჯერ იგი სულ არ არსებობს, ზოგჯერ კი ადგილი აქვს გაძლიერებულ სისხლის დენას და სხვ.

მამაკაცი, რომელიც დაავადებულია ფილტვების, ნაწლავების ან სასქესო ორგანოების ტუბერკულოზით, სქესობრივი კავშირით ქალს არ გადასდებს სასქესო ორგანოების ტუბერკულოზს.

საშვილოსნოსგარეშე ორსულობა

ჩვეულებრივად, ორსულობა საშვილოსნოს ღრუში მიმდინარეობს. საშვილოსნოსგარეშე ორსულობის დროს კი განაყოფიერებული კვერცხუჯრედი რჩება და ვითარდება საშვილოსნოს ღრუს გარეშე.

საშვილოსნოსგარეშე ორსულობა უხშირესად მიმდინარეობს კვერცხსავლების მილში, იშვიათად მუცლის ღრუში და საკვერცხეში.

საშვილოსნოსგარეშე განვითარებული ორსულობა ჩვეულებრივად ბოლომდე ვერ აღწევს, რადგან ირღვევა ის კატსულა, რომელშიაც განვითარდა ორსულობა.

საშვილოსნოსგარეშე ორსულობის განვითარების მიზეზია: უმთავრესად ზედა სასქესო გზების ანთება, აბორტი და მით უმეტეს—ხშირი.

საშვილოსნოსგარეშე ორსულობის დროს, დასაწყისში ქალი. ჩვეულებრივად გრძნობს თავს; თვიური აკრეფილი აქვს, გუნებ-განწყობა კი ისეთი, როგორც ნორმალური ორსულობის დროს.

ყოველთვის სასურველია, რომ ქალმა ქალთა კონსულტაციას მიმართოს თვიურის შეჩერების დროს, რათა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იქნეს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საშვილოსნოსგარეშე ორსულობა ჩვეულებრივად ბოლომდე არ მიიტანება, სწყდება, მაგრამ ჩვენ გვქონდა მუცლის ღრუს ორსულობის ერთი იშვიათი შემთხვევა, რომელიც ბოლომდე იყო მიტანილი და ოპერაციის საშუალებით ცოცხალი დროული ნაყოფი მივიღეთ.

ჩვეულებრივ, საშვილოსნოსგარეშე ორსულობა წყდება მე-5—6, ზოგჯერ მე-8—9 კვირაზე.

საშვილოსნოსგარეშე ორსულობის შეწყვეტას თან მოყვება მთელი რიგი გართულებები.

თუ ორსულობა შილში იყო, ის სკდება და დაიწყება სისხლის დენა, სისხლი ჩაინთხევა მუცლის ღრუში. ლულის გახეთქვის და სისხლის ჩაინთხევის დროს ქალი იგრძნობს ტკივილებს მუცლის ღრუში, გაფითრდება, დაახამს ცივ ოფლს და დაკარგავს გონებას.

ზოგჯერ ზემოაღნიშნული ნიშნები სუსტად არის გამოსატული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქალს თვიური დაუგვიანებს, საშოდან მოდის მკარეოდენი მუქი ფერის სისხლი, ხანგამოშვებით საზარდულის მიდამოში აწუხებს შეტევითი ხასიათის ტკივილები; სიცხე ნორმალურია, ან უმნიშვნელო რაოდენობით არის მომატებული.

ასეთ შემთხვევაში ქალი სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ სამშობიარო სახლში, ან უახლოეს საავადმყოფოში, სადაც მას ქირურგიულ დახმარებას აღმოუჩენენ.

საშვილოსნოსგარეშე ორსულობის მკურნალობა მხოლოდ ოპერაციულია.

თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ საშვილოსნოსგარეშე ორსულობის განვითარება, უნდა ვერიდოთ აბორტს და სასქესო ორგანოების ანთებას.

უნაყოფობა: კაპიტალისტურ ქვეყნებში უნაყოფო ქალ-

თა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს, რადგან მატულობს საერთოდ ყოველგვარი დაავადება და მათ შორის სასქესო ორგანოების დაავადებაც, განსაკუთრებით გონორეა.

ეს უკანასკნელი კი შვილოსნობის უსასტიკესი მტერია, ის ახშობს კვერცხსავლებს და ქალს დედობის უნარს უსპობს.

არასოდეს ქალს არ ჰქონია ისეთი მძლავრი სურვილი გახდეს დედა, როგორც მას აქვს დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ეს გასაგებია, რადგან ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა ადამიანის ბედნიერი ცხოვრებისათვის.

მიუხედავად ამისა, ჩვენში კიდევ არის უშვილო ქალები. უშვილობის მიზეზი უხშირესად ქალია, დაახლოებით შემთხვევათა 2/3-ში, მაგრამ შემთხვევათა 1/3-ში უშვილობის მიზეზი მამაკაცია.

რატომ არის მამაკაცი უშვილობის მიზეზი? ზოგჯერ იმიტომ, რომ მას გადატანილი აქვს გონორეის რთული ფორმა. რომლის შედეგად თესლის გამომტანი მილები დახშულია და სქესობრივი კავშირის დროს, თესლში არსებული ცხოველმყოფელი ნივთიერება—სპერმატოზოიდები ვერ გამოდიან სათესლე ჯირკვლებიდან.

ზოგჯერ მამაკაცი იმიტომ არის უშვილობის მიზეზი, რომ სასქესო ასო არ განიცდის ეგრეთ წოდებულ ერექციას, რის გამოც არ არის საშუალება მისი საშოში შეტანისა. ამ მოვლენას იმპოტენცია ეწოდება.

იმპოტენციის ეს ფორმა უხშირესად დროებითია და მისი განკურნება შესაძლოა.

ქალის უშვილობის მიზეზი სხვადასხვაა, ასე მაგალითად, ზედა სასქესო გზების გადატანილ ანთებას შეუძლია დაახშოს ის მილები, რომლებსაც კვერცხსავლებს ეუწოდებთ და რომლების საშუალებითაც კვერცხი საკვერცხიდან საშვილოსნოში უნდა მოხვედეს.

უშვილობის მიზეზია სხვადასხვა სიმსივნეები, რომლებიც ვითარდება როგორც საშვილოსნოში, აგრეთვე მის დანამატებში.

არასაკმარისი განვითარებულ სასქესო ორგანოებს, როგორც იტყვიან. ბავშვურ საშვილოსნოსაც, მიუძღვის ბრალი უშვილობაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღეს უშვილობის საწინააღმდეგოდ ბევრი საუკეთესო საშუალება მოგვეპოვება.

თუ ახალგაზრდა ქალს, სისტემატური

და ნორმალური სქესობრივი კავშირი აქვს. მაგრამ ექვსი თვის გავლისას არ დაორსულდა, მან უნდა მიმართოს ქალთა კონსულტაციას. ექიმ-გინეკოლოგს, რათა გამოირკვეს უნაყოფობის მიზეზები და ზომები დროზე იქნეს მიღებული.

ბურთუაზიულ ქვეყნებში დღესაც გამეფებულია აზრი, რომ მშრომელმა ხალხმა გამრავლებისაგან თავი უნდა შეიკავოს, რადგან თითქოს არსებული დოვლათი საკმარისი არ არის ადამიანთათვის.

ჩვენში, ქვეყნის სიმდიდრე და ბედნიერება მხოლოდ მშრომელებს ეკუთვნის.

ქალთა სასქესო ორგანოების სიმსივნეები

ქალთა სასქესო ორგანოებში, განსაკუთრებით საშვილოსნოსა და საკვერცხეებზე ხშირად ვითარდება სხვადასხვა სიმსივნე. ზოგი მათგანი ნამდვილ სიმსივნეს ეკუთვნის, ზოგი კი ეგრეთ წოდებულ კისტებს წარმოადგენენ.

კისტები არის მარტივი და რთული. ისინი წარმოადგენენ ამა თუ იმ ჯირკველს, რომელსაც დახშული აქვს სადინარი, რის გამო მონადენი, ეგრეთ წოდებული სეკრეტი, გროვდება და ჯირკველი სითხისაგან იქაჩება.

გარეთა სასქესო ორგანოებზე, საშოს შესავალთან ასეთი კისტა შეიძლება განვითარდეს, ზოგჯერ გონორეის ნიადაგზე. ზოგჯერ კი სხვა მიზეზითაც, მას ბართოლინის ჯირკველის კისტას ვუწოდებთ.

საკვერცხეებზე საკმაოდ ხშირად ვხვდებით მარტყ და რთულ კისტებსაც. რთულ კისტებს აქვთ უნარი ქსოვილის გამრავლებისა და ისინი სწრაფად მატულობენ მოცულობაში.

გარდა კისტებისა, ვხვდებით ნამდვილ სიმსივნეებს, მათ შორის ვარჩევთ კეთილ და აფთვისებიანებს.

კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც შედარებით ხშირად გვხვდება საშვილოსნოში 30--50 წლამდე, არის საშვილოსნოს ფიბრომიომა.

ავთვისებიან სიმსივნეთა შორის აღსანიშნავია საშვილოსნოს კიბო.

საშვილოსნოში კიბო ვითარდება საშვილოსნოს ყელში და ტანში.

საშვილოსნოს ყელის კიბო თითქმის ათჯერ უფრო ხშირია, ვიდრე საშვილოსნოს ტანის კიბო.

საშვილოსნოს ყელის კიბო უხშირესად გვხვდება 40—50 წლის ასაკში, საშვილოსნოს ტანის კიბო კი უფრო ხშირია 50—60 წლის ასაკში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ასაკში არ არის გამოირიცხული კიბოს განვითარება. მხოლოდ, ძლიერ ახალგაზრდა და ძლიერ მოხუცებულ ხანში კიბოს განვითარება ძალზე იშვიათია.

რა მოვლენები ახასიათებს კისტებს? თუ საკვერცხის კისტა მცირე მოცულობის არის, მაშინ ქალს თითქმის არაფერი აწუხებს, მაგრამ როგორც კი გაიზრდება და მცირე მენჯის ღრუს ამოავსებს, მაშინ დაიწყება მთელი რიგი მოვლენები.

კისტა აწვება შარდის ბუშტს და იწვევს ხშირ მოშარდვას. აწვება სწორ ნაწლავს და იწვევს ყაბზობას.

თუ კისტას აქვს გრძელი ფეხი და გადაიგრისა, მაშინ ვითარდება უსასტიკესი ტკივილები მუცლის ღრუში, პირის ღებინება და სხვ.

საშვილოსნოს ფიბრომიომასაც თან სდევს მთელი რიგი მოვლენები: სისხლის ღენა, როგორც გაძლიერებული თვიურის სახით, ისე თვიურის გარეშეც. ტკივილები, დაწოლა შარდის ბუშტზე, სწორ ნაწლავზე და ამრიგად, ამ ორგანოთა მოქმედების მოშლა, ორსულობის გაცუდება, მის დასაწყისში ან მოგვიანებით, დიდი სისხლის ღენით, უშვილობა და სხვ.

შესაძლოა აგრეთვე, რომ ფიბრომიომა გადაგვარდეს ავთვისებიან სიმსივნეთ, ეგრეთ წოდებულ სარკომად.

საშვილოსნოს კიბო დასაწყისში არ იძლევა ისეთ ნიშნებს, რომელთა მიხედვით შეიძლებოდეს იოლად ვიფიქროთ მასზე. მაგრამ მაინც არის ზოგიერთი რამ, რომელმაც უნდა გვაფიქრებინოს კიბოზე, ამიტომ ქალმა, როდესაც ის ხანში შესულია, ხშირად უნდა მიმართოს ქალთა კონსულტაციას, გაიგოს მისი საერთო და სასქესო ორგანოების მდგომარეობა.

ხანში შესულობის დროს, 40 წლიდან ქალს ეწყება, როგორც ეს აღნიშნული იყო, მთელი რიგი მოვლენები და მათ შორის თვიურის მოშლილობა, სისხლის დენა, თვიურის შეწყვეტა და სხვ.

სწორედ ამ ასაკშია ეს სასტიკი სენი მოსალოდნელი და თუ ქალი კონსულტაციას სისტემატურად მიმართავს, მაშინ ექიმი დროულად შეამჩნევს კიბოს დაწყებას და თავიდან ავიცილებთ დიდ გართულებას.

საშილოსნოს კიბოსათვის დამახასიათებელია თეთრად შლა მყრალი სუნით, ზოგჯერ ვარდისფერი გამონადენი. გამონადენი ხორცის ნარეცხს გავს, სითხე მოწითალო ფერისაა და მასში ვაზნეულია თეთრი ფერის ფიფქები.

დამახასიათებელია სისხლიანი გამონადენი სქესობრივი კავშირის და კუჭის მოქმედების დროს გავინთვის შედეგად, სისხლის დენა თვიურსა და თვიურს შორის, მცირე რაოდენობით, სისხლიანი შლა, რომელიც თვიურთან არ არის დაკავშირებული.

ეს მოვლენები ახასიათებს საშილოსნოს კიბოს დასაწყის ფორმას, მაგრამ შემდეგ, როდესაც კიბო შორს წავა, მაშინ სხვა მოვლენებიც იჩენს თავს, როგორცაა მოვლითი ტკივილები ქიპს ქვევით და ხშირი და მტკივნეული მოშარდვა, ყაბზობა და სხვ.

საშილოსნოს სიმსივნეების და კისტების მკურნალობა მხოლოდ ქირურგიულია.

საშილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობენ რადიუმის სხივებითაც.

სქესობრივი მომწიფების და ხანშიშესულობის პერიოდში ქალმა სისტემატურად უნდა მიმართოს ქალთა კონსულტაციას, რომ ყოველგვარი სიმსივნის და მათ შორის ადამიანთა უსასტიკესი მტრის—კიბოს დასაწყისი დროულად იქნეს აღმოჩენილი.

ქალის სასქესო ორგანოებში განვითარებული ყოველგვარი სიმსივნე და მათ შორის კიბოც იოლად შეიძლება მოვესპოთ, თუ ადრე აღმოვაჩინოთ მას.

რედაქტორი ბ. კვალიაშვილი

ნაბეჭდი ფორმების რაოდ. 1,75

სააღრიცხვო ფორმ. რაოდ. 1,56

შეკვეთა № 113. ტირაჟი 10.000 . უფ 17271

საქმედგამის სტამბა. თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3/5